

სპორტიელი



სპორტული გაზეთი სამუშაოთი 1 აპრილი 2006 №175 (2797)

ფასი 50 თეთრი

აღიანსი დიდი არანა მათა ბიჭს



რალფ მიხეილ ნაკრები ლეპერკუზანი მიინია



ეროვნული უპროგრესი დღე და ღამე მიინორიზით სწორდება

იტალიაში სკანდალს ბისზე იქახეპენ



ხმები კალჩოლოის სკანდალის დასრულების შესახებ გადაჭარბებულია — „რეჯინა“, „არეცო“, „მესინა“, „სიენა“ და „ლენე“, აი, გუნდები, რომელთა საქმის ძიება ამერიიდან გაზრდება და რის გამოც სერია A-სა და სერია B-ში ბურთი 27 აპრილის მაგივრად შეიძლება 10 სექტემბერს გაგორდეს. ხოლო უკვე დასჯილმა დიდმა სამეულმა — „იუვენტუსმა“, „ლაციომ“ და „ფიორენტინამ“ — იტალიის ოლიმპიურ კომიტეტს გუშინ სისხამ დილით აპელაცია აახლა. პასუხს 10 აპრილს ელიან.

ამერი და უემო... იმე?! ბერმანია გლდანში უემოიჭრა



შაბათს დაინყო და გუშინ გაგრძელდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტური. შემდგენლობაგადახალისებულ-გაძლიერებული საჩხერის „ჩიხურა“ დიდი იმედით ესტუმრა გლდანში „ამერს“ — რატომაც არა, შვიდი თუ რვა ტესტ-მატიჩი გოლგაუშვებლად ჩაატარა და... თუმცა ამერელებმა მათ კარს ჯადო ახსნეს და 2:0 მოუგეს. „შერტასთან“ ბერლინურმატიჩამდე ცხრა დღელა დარჩათ გლდანელებს და განწყობას არ უჩივიან. გუშინვე ქუთაისში „ტორპედომ“ და „ვიტ ჯორჯიამ“ ბლომად მომენტები გაუცვალეს ერთმანეთს, მაგრამ რითაც დაინყეს, იმით დაამთავრეს — 0:0.

სპორტიელი
2006 წლის
1 აპრილი
№175 (2797)

რალფ მინგეაე ნაკრებში ლევიკუზანი მიიწვია



ნუკრი რევიშვილი რალფ მინგესთან კლუბმა არ გაუშვა

გალსაზ
თბილისი

ლევისკი პენალტებზე ასრილია

ბოლნისის „სიონს“ ხვალ საპასუხო საჩემპიონალიგო მატჩი ელის სოფის „ლევისკისთან“, ეს შეხვედრა 19 საათზე დაიწყება „მიხეილ მესხზე“ და თურქი არბიტრი სელჩუკ დერელი განსჯის. ამასობაში, „ლევისკიმ“ ბულგარეთის სუპერთასი დათმო თანაკლასიერ ცეცხკასთან, ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დასრულდა, პენალტებში კი 0:3 წააგო — ტოპუზაკოვმა, დომოვიჩისკიმ და ბორიძი-როვმა უხეიროდ დაარტყეს. საინტერესოა, რომ „ლე-

ვისკის“ 87-ე წუთზე ბარდონი, 113-ეზე კი ერიმოიგებ გაუძევეს. „ლევისკის“ თავკაცმა სტანიმირ სტილილოვმა ზუსტად ის შემადგენლობა ათამაშა ცეცხკასთან, რაც „სიონთან“ ჰყავდა: პეტკოვი, ტომაშჩი (მილანოვი 42), ერიმოიგებ, ტოპუზაკოვი, ბორიძი-როვია, ს. ანგელოვი, ტელკისკი, ვავნერი, ბარდონი, ე. ანგელოვი (დომოვიჩისკი 97), იოვოვი (კოპრივაროვი 52).

ლუბა თალაგბაძე

სოჯავას უკრაინული შანსი

21 წლის გონა ხოჯავა შესაძლოა, უკრაინის უმაღლესი ლიგის „ილიჩევცში“ ჩაირიცხოს. ხოჯავა მანამდე რუსული პრემიერლიგის „კრილია სოვეტოვში“ იყო გასინჯავა და სამარელთა თავკაც გავი გავიეს თავიც მოაწონა. ეს გავიეს არც დაუძალავს რუს ურნალისტებთან, მაგრამ ხოჯავა თავისუფალი აგენტი არ არის, მისი კონტრაქტი „როსტოვის“ პრეზიდენტ ივან სავიდის ეკუთვნის და მხარეები ფინანსურ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. სამარიდან ხოჯავა თბილისში დაბრუნდა და მცხის უკრაინაში გაემგზავრა. მისი „ილიჩევცში“ ჩარიცხვა არჩარაცხვაც ალბათ ფინანსურ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, თორემ ნაკლებად სავარაუდოა, „კრილიაში“ მოწონებული ხოჯავა



„ილიჩევცში“ დაიწუნონ, სადაც თვითონ უკრაინულ გუნდში გადასვლის ვარიანტებიც აქვს. ღვათ თავართილაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი გაწევრიანების მსურველთა საყარალთა

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრები ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



19 წლისა 19 ნომრით მათე ღვინიათა ოფიციალური ლოგო

19 წლის მათე ღვინიათა გუშინ ოფიციალურად გახდა „მიუნხენ 1860“-ის ფეხბურთელი. ქართველი მცველი თითქმის ერთი თვეა „ლომბეში“ ვარჯიშობს და 6-7 ტესტ-მატჩიც ითამაშა — თანაც ისეთ დონეზე, რომ მიუნხენელთა თავკაც ვალტერ შახნერს ათქმევინა, ეს ბიჭი დიდი ტალანტია.

„მიუნხენ 1860“-მა ერთი კვირის წინ გადაწყვიტა ღვინიათასთან კონტრაქტის გაფორმება, თუმცა მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ სატრანსფერო ფურცელს ელოდებოდა, გუშინ კი ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა. ფეხბურთელი, რომელიც „ლოკომოტივის“ დუბლებში თამაშობდა, ახლა გერმანიის მეორეხარისხიან გუნდში აბურთავებს — მეორეხარისხიან გუნდსა და ჩვეულებით, „მიუნხენ 1860“ საკმაოდ სახელმწიფო კლუბია და, ალბათ, მალე დაიბრუნებს ადგილს ბუნდესლიგაში.

მათეს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, მიუნხენური კლუბის ვებ-გვერდზე კი ქართველ მცველს ასე ახასიათებენ: „მას საქართველოს ყველა ასაკის ნაკრებში აქვს ნათამაშევი და ეროვნული ნაკრების კანდიდატიცა“.

იქვე მოყვანილი „ლომბეის“ მენეჯერის, ახლო წარსულში გერმანიის ნაკრების „დორტმუნდისა“ და „იუვენტუსის“ მცველ შტეფან როიტერის სიტყვებიც: „მოხარული ვართ ამ ტრანსფერით. ვარდა იმისა, რომ ღვინიათა პერსპექტიული ფეხბურთელია, მას მეტროპოლი ხასიათი აქვს. ისეთი, რომელიც „მიუნხენ 1860“-ში მყარად დამკვიდრებაში დაეხმარება.“

მათეს 19-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

ილია ნანოვაშვილი

რუსეთი	უკრაინა
პრემიერლიგა. XIV ტური როსტოვი 2:1 საბარტაპი (5)	ალსვენსკა XII ტური ჰალმსტადი 3:0 გეფლე პოლსინგორგი 2:1 კალმარი მალმიო 2:0 იოსტარსი გიოტავორგი 1:1 აიპ
ჩემპიონთა ლიგა. I ტური ბანკი 0:2 სლავია	სუპერლიგა XVII ტური ატვიდავარგი 0:1 სუნდსვალდი ფალკენბერგი 2:1 უშა ლიუბეკილე 1:1 გილაზი ნორჩიოპინგი 1:0 ასირისკა ჟვიდინგი 1:0 ტრალავორგი ვასპი 2:1 დეგარფორსი
ნორვეგია	ისლანდია
ტიკაელიგა. XV ტური ლინი 1:2 სტარტი	პრემიერლიგა XII ტური ფილიპირი 1:2 რეიკიავიკი ვალბური 5:0 ვესტმანაბიკი კეფლავიკი 2:0 ბრინდავიკი
სლოვენია	
პირველი ლიგა. I ტური კოპარი 3:1 ზაბტორი	
უნგრეთი	
ბორსოდი ლიგა. I ტური ფაჰერვარი 2:3 ზალაგერსაგი	
ფინეთი	
პეიკასლიგა. XIV ტური ჰიპ 5:0 კტვ	

ამსნაგური მატჩები
ერკულესი (ესპანეთი) 2:0 ელჩი (ესპანეთი)
ჰორსანსი (დანია) 0:4 უოტფორდი (ინგლისი)
ბარტონი (ინგლისი) 2:1 ზეფილდ უენსდი (ინგლისი)
ბრინგბი (ინგლისი) 1:1 ლიფსი (ინგლისი)
ბოსტონი (ინგლისი) 1:3 ბირმინგემი (ინგლისი)

ამერმა ბანანსი დაივიწყა და ჰერტას დაენახვა



რატი წინამძღვრიშვილი ლევან მერებაშვილს გადააფრინდა

თბილისი. 31 ივლისი. 17.30. აშშ. 1 000 მაყურებელი

ამერი 2:0 ჩიხურა

10 დავითაშვილი (26), 2:0 ტატანაშვილი (90)

აშშ: ქვანია, დ. მჭედლიშვილი, ზვადგაინი, დავითიძე, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, დოლიძე (ბერიანიძე 81), დეკანოზიძე, ბოლქვაძე (გ. ჯელაძე 64), ს. დავითაშვილი, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 77)
სათადარიგო: ლ. ნადირაშვილი, ელბაძე, სილაგაბა, გაბისკირია
მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა

ჩიხურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ა. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, ბეგლარ თედორაძე, სანიკიძე (თაბერიძე 72), მესხი, მარგალიტაძე, ჩომახიძე (სტეფანიშვილი 62), მიქაძე, კაკალაძე (სულთანიშვილი 64)
სათადარიგო: დოლაძე, ევაძე, ლ. ვაშაყიძე, ბრეგვაძე
მწვრთნელი: სვინია ქასრაშვილი

გაწვრთნელთა: მერებაშვილი (12), დავითაშვილი (30), ბოლქვაძე (55), ჩიკვილაძე (64), მესხი (78)

მსაჯენი: ლ. კვარაცხელია; კ. ბერიძე, კ. გუდურაშვილი; ა. ნონიკაშვილი

დამაკვირვებელი: თ. რუხაძე

კოზა ინსარნიძე

ჩემპიონატის პირველი მატჩი იყო და არ ველოდი, ჩვენი მომავალი მეტოქე სტარტზევე ასე ძლიერად თუ ითამაშებდა. „ამერს“ თავისუფლად შეეძლო, ეს შეხვედრა გაცილებით დიდი სხვაობით მოეგო, მაგრამ ეს მოგებაც შთამბეჭდავი გამოდგა — ასე შეაფასა გუშინდელი გლდანური შეხვედრა ბერლინის „ჰერტას“ შეფს-საკუტმა რუდი ვოიტოვიჩმა, ვინც თბილისში სწორედ მომავალი მეტოქის დაახვედრად ჩამოვიდა და ნამატჩევს ამერელთა მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა.

ძნელია, არ დაეთანხმო გერმანულ მზირს — „ამერმა“ პირველსავე შეხვედრაში აშკარად დაჯაბნა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ჩიხურა“ და დამსახურებული სამი ქულითაც შეუდგა ჩემპიონატის მართონს. ისე, უმაღლესის დებიუტანტი „ჩიხურა“ ვახსენებ და, ამას მოგაყოლოთ, რომ იმ ფეხბურთელებიდან, რომლებმაც გუშინ „ჩიხურაში“ ითამაშეს, ყველას აქვს უმაღლესი ლიგის გამოცდილება და არც ერთი იყო დებიუტანტი. მეტიც, ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ექვსი იყო შარშანდელი „ბორჯომიდან“, რომელიც წინა ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა. მოკლედ, საჩხერელებმა უმაღლესში გადასვლის შემდეგ თითქმის მთლიანად გადაახალისეს შემადგენლობა, შეიგულებს გამოცდილი ფეხბურთელები და ფინანსურადაც საკმაოდ შეძლებულნი ჩანან... აი, ასეთი გუნდი კი, რამდენიც უნდა ვთქვათ, დებიუტანტი-აო, „ამერმა“ შინ უპრობლემოდ დაამარცხა.

გუშინდელი „ამერი“ და ის გუნდი, რომელმაც თბილისში სომხურ „ბანანსთან“ ითამაშა, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა. აქ კი ერთხელაც შევნიშნოთ, რომ „ამერმა“ გუშინ საკმაოდ კარგ გუნდთან ითამაშა...

მატჩი, როგორც ჩემპიონატის სასტარტოსგანაა მოსალოდნელი, ცოტა არ იყოს, ნერვიულად და არეულად დაიწყო. თითქოს მასპინძლებმა მეტოქეს მოედნის ცენტრი და-

უთმეს, თუმცა კონტრშეტევისას ერთი-ორჯერ ისე სახიფათოდ დაემუქრნენ მეტოქეს, ალბათ აგრძნობინეს, ძალიანაც ნუ გათამამდებიო...

ჰოდა, ის იყო, „ჩიხურას“ მარჯვენა მცველმა გიორგი მემარნიშვილმა რეალური საგოლე შანსი გააცუდა და „ამერმაც“ ამ ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა. დავით ბოლქვაძემ გონივრული პასი სულიკო დავითაშვილმა ზუსტი დარტყმით დაუფასა.

ეს ამბები პირველი ტაიმის შუაისკენ მოხდა. შესვენებამდე დარჩენილ დროში კი დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. გოლით შეგულიანებული მასპინძლები ბურთს უფრო თავდაჯერებულნი აკონტროლებდნენ და მეტოქეს შეტევის საშუალებას არ აძლევდნენ.

მეორე ტაიმი „ჩიხურამ“, ცოტა არ იყოს, აგრესიულად დაიწყო, თუმცა „ამერმა“ რომ კონტრშეტევებისას მომენტები შექმნა... ტრიბუნაზე ერთი-ორჯერ ითქვა კიდეც, ასეთი შანსების გამოუყენებლობისთვის „ამერი“ დაისჯებო. მაგრამ

მასპინძლები დაცვაში ისე ყოჩაღობდნენ, საჩხერელებს კარისკენ არც დაარტყმევინეს.

ამასობაში „ჩიხურას“ მწვრთნელმა სვინია ქასრაშვილმა გუნდს ახალი ძალები შემატა, ხეირი კი ვერაფერი ნახა. საპირისპიროდ, „ამერმა“ თამაშში ჯერ გამოცდილი გიზო ჯელაძე ჩართო, მერე თავდამხსმელი დიმიტრი ტატანაშვილი და „ჩიხურას“ კართან ისეთი მომენტები შეიქმნა, კაცი უკეთეს ვერ ინატრებდა. ერთხელ მეკარე ზურაბ მამალაძეს ერთბაშად სამი ამერელიც კი დაუპირისპირდა და გოლიც თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ „ყვითლებმა“ ერთმანეთს ვერ გაუგეს და ალექსანდრე ბურნაძემ ვითარება განმუხტა. თუმცა თბილისელებმა მეორე მაინც გაიტანეს და ანგარიშის გათანაბრების მომლოდინე ქომაგობაც ტრიბუნიდან წამოშალეს: 90-ე წუთზე გიორგი დეკანოსიძის ჩინებულ პასს ტატანაშვილი გაჰყვა და მამალაძემ ბურთი თავზე ზუსტად და მოხიმილად გადაუგდო — 2:0.



ამერელთა პირველი გოლი სულიკო დავითაშვილისა იყო



ბადრი კითხილაძის ფოტოები




ბადრი კითხილაძის ფოტოები

ნამატჩევს კი „ჰერტას“ სკაუტმა ვოიტოვიჩმა ესეც გვითხრა: — „ამერმა“ ჩემზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გუნდი მსუბუქად გამოიყურებოდა, რაც ჩემპიონატის დასაწყისში იშვიათობაა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მეტოქეს კიდევ ბევრი შეუძლია და ჩვენც ფრიხილად უნდა ვიყოთ... რა მნიშვნელობა აქვს „ჰერტას“ „ამერზე“ რას ფიქრობდა დღეს ნანახის შემდეგ შემიძლია ვითხრა, რომ „ჰერტას“ მეტოქედ კარგი გუნდი ერგო და ვიმედოვნებ, ეს მატჩები ქომაგებისთვის საინტერესო იქნება... „ამერიდან“ ვერავის გამოვარჩევ, მთლიანად გუნდმა დატოვა კარგი შთაბეჭდილება... რა თქმა უნდა, რადიკალური ჩაენიშნე, რასაც მწვრთნელებს ჩავეუტან და დანარჩენი თავად იცანა.

პრესკონფერენცია

საქართველოს თასის ფინალის შემდეგ დისკვალიფიცირებული გიორგი ჩიხრაძის ნაცვლად ჟურნალისტებთან შესახვედრად მისი თანაშემწე მიხეილ ჯიშკარიანი მოვიდა და მოკლედ თქვა, კარგი თამაში იყო და ვთვლი, დამსახურებულად მოვივეთო. **სვინია ქასრაშვილმა** კი მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და... — ეტყობა, „ჩიხურას“ რამდენიმე ფეხბურთელი ფიქრობს, რომ ძალიან მაგრები არიან, მაგრამ მათ დღეს კაპიტის ფასი არაფერი გაუკეთებიათ. გვარების დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ, თუმცა მათ უახლოეს დღეებში ძალიან მკაცრად დაველაპარაკები. „ჩიხურას“ კარგად სათამაშოდ ყველანაირი პირობა აქვს, მაგრამ მთავარი პრობლეონალიზმია, რაც დღეს ჩემს ფეხბურთელებს არ ეტყობოდათ.



მუშაზე დასრულებულია სტადიონის ფოტოები


ეროვნული ეპროექტი და და და მიწოდებით სწორდება

სადავოს სუნი და ამწეა ღრვიანი ეროვნულ სტადიონზე მალე აღარ იქნება — სარეკონსტრუქციო სამუშაოები მთავრდება და წინ აღარაფერი უდგას იმას, რომ 2 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2008-ის პირველ საშინაო შეხვედრაში საფრანგეთს „ეროვნულზე“ დაუხვდება.


მინდორი დაგებულია და კრეკენ; უმეტეს სექტორებზე ინდივიდუალური სკამები დამონტაჟებულია და კიდევ ამატებენ; პროექტორები გაწმენდილია და განათებას კიდევ აძლიერებენ... ეროვნული სტადიონის განახლებისთვის დღე და დღე მუშაობაა.

დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე კი სკამები ისეა დამონტაჟებული, რომ საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა გამოსახული — ორ სექტორზე გადაჭიმული დროშა ეროვნულ სტადიონს მართლაც ეროვნულად აღამაზებს.

ცოტაც და, სტადიონი ფეხბურთითაც ატკრცივდება...



მუშაზე დასრულებულია სტადიონის ფოტოები



ბასაზ მუშენდება ფედერაციამ ცენტრი თითქმის მოამთავრა


საპარტიველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზი“ სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავაც გრძელდება.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, უკვე დასრულდა შენობის ჰიდროიზოლაცია, ნაგებობის გარშემო დაიგო დეკორატიული ბალახის საფარი, დამონტაჟდა აუზის საცირკულაციო სისტემა წყლის ფილტრაციით და გათბობით, საუნის დამონტაჟება კი დღე-დღეზე დასრულდება.

ფაქტობრივად დამთავრებულია ბაზის ეზოს ბეტონის ფილებით მოპირკეთებაც. ამჟამად გარე განათების ბოძების დამონტაჟება ხდება.

მოკლედ, „ბასაზი“ დაახლოებით ორი თვის წინ დაწყებული სარემონტო სამუშაოები თითქმის მთავრდება და, სავარაუდოდ, მალე ბაზა სრულ მზადყოფნაში იქნება.

ბაზა ზალამბერიძე



სფფ-ის პრესსამსახური

სუპერლიონი



საფრანგეთი სუპერთასი

ლიონი 1:0 ლანსი (61), 1:0 პსჟ
1:0 როტენი (61), 1:1 ბენეზეა (70)

„შირლანზი“ ერთმანეთს „ლიონი“ და პსჟ საფრანგეთის სუპერთასისთვის შეხვდნენ. მატჩი დამაბული და საინტერესო გამოდგა, ხოლო გამარჯვებული გამორკვევას პენალტების სერია დასჭირდა.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მოქმედ ჩემპიონ „ლიონს“ 9 მთავარი ფეხბურთელი აკლდა, რომლებმაც მუნდიალზე ითამაშეს და კლუბში ჯერ არ დაბრუნებულან. პარიზელები კი, ფაქტობრივად, ძირითადი შემადგენლობით იყვნენ.

ანგარიში 61-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც ლიონელთა მეკარე რემი ვერკუტრმა, პიერ-ალან ფროს თავური მოიგერია, მაგრამ ფრომ როტენმა საგოლედ დაამატა. ფრომ ულიეს შეგარდებს წონასწორობის აღსადგენად 9 წუთი დასჭირდა. სილვენ არმანმა „ლიონს“ ახალწვეული კიმ კალსტრომი წააქცია, ხოლო თერთმეტი მეტრიდან ზუსტად კარიმ ბენეზემ დაარტყა.

პენალტების სერიაში ანგარიში 4:4 იყო, როდესაც პარიზელთა კოტლიუვარელმა ლეგიონერმა, ბონავენტურე კალუმ, უხეიროდ დაარტყა, მას მეკარემ აუღო. „ლიონის“ გამარჯვებისა კი მალეღმა მაჰამადუ დიარამ შეაგდო.

ფრომ ულიე: „დაბამული და კარიგი მატჩი იყო, რისთვისაც ორივე გუნდს მადლობა ეკუთვნის. ჩვენს თამაშში ყველაფერი იდეალურად



რემი ვერკუტრმა გამარჯვება საკუთარ ვაჟთან ერთად იხეიმა

არ ყოფილა, მაგრამ ამ სეზონში პირველი შეხვედრა ჩავატარეთ და ეს გასაკვირი არც არის. ფაქტია, მოვიგეთ, ხოლო დანარჩენი სეზონის დაწყებასთან ერთად გამოსწორდება.“

„ვეიჯრობ, ჩემი გუნდი წაგებს არ იმსახურებდა. თან ამგვარად დამარჯ

ვება ძალიან დაანაია „ლიონს“ პენალტებით, საკუთარი კედლების დამარჯვების წყალობით, მოიგო. ჩვენ კი შეგვიძლია, თავი იძით ვხუცდეთ, რომ კარგად ვითამაშეთ და გამარჯვების ღირსნი ვიყავით“ — აღნიშნა პსჟ-ს მწვრთნელმა ვი ლაკომბმა.

გიორგი კაპაბაძე

აიდურ გუდიონსანი: ბინებზე ვსწავლობ

„ბარსელონას“ ახალწვეულ აიდურ გუდიონსენს იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონში

კატალონიურ გრანდთან ერთად ბევრ ჯილდოს მოიგებს. ექსპერტული უკვე გუდიონსანი ერთად ვარჯიშობს, ესპანურად ვინებზე ვსწავლობ და „კამპ ნოუს“ ყოფილ შევდ მოიერიშე ჰენრიკ ლარსონთან შედარება აღიზიანებს. გუდიონსენს „მარკას“ კორესპონდენტი ვაგესაუბრა

— „ბარსელონაში“ თქვენმა პირველმა დღეებმა როგორ ჩაიარა? თქვითა ფორვარდობა „ბარსაში“?

— საკმაოდ ძნელია. „ჩელსიში“ ვწელიწადი ვავატარე და „ბარსაში“ რომ ვადმოვედი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თქვითის ბავშვი ვიყავი და სხვა სკოლაში ვწამიყვანეს. თუმცა „ბარსელონა“ ზუსტად ისაა, რისი არჩევაც მინდოდა. თან ყველამ ვარგად მიმიღო. სხვაზე უფრო მეტად სილენიოსთან ვსაუბრობ. მან ინგლისური ენა შესანიშნავად იცის. თუმცა ვარჯიშების დროს მაინც მიჭირს და ენობრივი ბარიერის დასაძლევად ესპანურის შესწავლაც ვაინციყვ.

— წარმომიდგენია, ალბათ, თანავუნდულები პირველად რასაც ვაწვავდით, ვინებია...

— დიახ! თუმცა ნუ მიძულებთ აქ ჩემი დაწვებიებული სიტყვები ვაძიემელორ!

— მართალია, რომ მადრიდის „რეალი“ ვეპატივებოდათ?

— იყო ამაზე ლაპარაკი. თუმცა „რეალის“ მხრიდან არავის შევხვედრივარ, სერიოზული შემოთავაზება არ ყოფილა.

— თან იმ მომენტში „ბარსას“ წინადადებაც მიიღეთ...

— კატალონიელები საუკეთესო

დროს დამიკავშირდნენ, ბარსა“ მისი სახელოვანი ისტორიის გამო სულ მომწონდა, ახლა კი კლუბი დიდების მწვერულზეა.

— ისლანდიელი ხართ და ბელგიაში, ჰოლანდიაში და ინგლისში ვიცხოვრიათ. ბარსელონაში თქვენი ყურადღება რამ მიიპყრო?

— ყველა ვარჯიშზე თავს უზრუნავისტა უზარმაზარი არმია ვავახვევია. აქ, მგონი, ორი კვირის განმავლობაში იმაზე მეტი ინტერვიუ მივეცი, რაც ლონდონში რამდენიმე წელიწადში შევქელი. თავიდან ამის არც მჯეროდა.

დაიდალა და წაბო



ურავა რედსი 1:0 ბაიერნი 1:0 ოკანო (89)

ბაიერნი: კანი (რენინგი 46), სალი ბამიჯი (ფიორსტენერი 50), ვან ბუიტინი, დემიკელისი (ქარიში 46), ლამი, პარგრისი, ოტლი, დოს სანტოსი (შოლი 46), შვანსტაიგერი, მაკაი (სანტა კრუსი 46), პოდოლსკი

ლსკის დაღლისა არაფერი ეტყობოდა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„კილინი“ ყოფილ ფორვარდს, რომელიც ამჟამად გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია, გოლის გატანის რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ... ერთხელ ძელს ვაარტყა ბურთი და ერთხელაც იაპონელთა მეკარემ ნორიპირო იამაგაშიმ ისეთი დარტყმული აუღო, ვანლუიჯი ბუფონსა და მოპირდაპირე კარში მდგომ ოლივერ კანსაც შემურდებოდათ. „ურავამ“ 89-ე წუთზე ვაიტანა. ოკანოს თავურს კანმა ვერაფერი მოუხერხა.

„პოდოლსკიმ“ აჩვენა, თუ რატომ იყო გრანდების ყურადღების ცენტრში. მას ვარჯიში მხოლოდ რამდენიმე დღის დაწყებული აქვს და მიუხედავად ამისა, ძალიან სახიფათოდ თამაშობდა. ორი-სამი საგოლე მომენტი ჰქონდა, ფორვარდს მეტიც არაფერი მოეთხოვება. ცოტა ხანში, როცა იგი საუკეთესო ფორმაში შევა, შესაძლებლობებს ბოლომდე ვამოაჯინებს და თავიდან წახვით, რა შეუძლია ლუკასს“ — ვანაცხადა „ბაიერნი“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა.

ოლივერ კანი: „სამი კვირა ვისვენებდით და ვარჯიში ახლახან დაეწყეთ. გასაკვირი არ არის, რომ ცოტა დაღლა დაგვეტყო. თანაც ამ მატჩის შედეგს ვადამწვევები მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც ახალი სეზონი დაიწყება, საუკეთესო ფორმაში ვიქნებით.“

გიორგი კაპაბაძე



ლონდონური სტოპები

ლონდონის „კრისტალ პალასში“ გრძელდება მძლეოსანთა ნორვიჩის დიდი პრიზის გათამაშება. ეს ნახტომი შეიძლება საჩემპიონო არ იყოს, მაგრამ ბრიტანელმა ჯეიდ ჯონსონმა ძალიან მოინდომა.

AFP ლონდონიდან



AFP ოპერაზო ნურინიდან

ჩემპიონის დეპი

ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონი, უნგრელი ჟოლტ ერდუი მისმა დებმა მას შემდეგ ჩაკოცნეს, რაც საჩემპიონო ბრძოლაში გერმანელი ტომას ულრიხი დაამარცხა და ტიტული დაიკავა.

ქველბარბენი

AFP ბიშკეკიდან



ძველი მანქანებით ამსტერდამ-პეკინის რაღის მონაწილეებმა წინა კვირაში საქართველოც გამოიარეს, ახლა კი უკვე ბიშკეკს უწიეს. 200 კაცი, თავთავიანთი ზღაპრული მანქანებით, 15 ივლისს პეკინში იქნება.

შავი სამუშაო


აი, თურმე როგორ ლაგდებიან წყალქვეშ სინქრონულად მოცურავენი. ეს ჰოლანდიის გუნდია, რომელიც ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძვის.

AFP ბუდაპეშტიდან



მეჭურბია!


AFP ბუდაპეშტიდან



წყალში რომ წყალი მოგწყურდება... მაგრამ რას იზამ, როცა 25 კილომეტრი უნდა გაცურო?! ფრანგი ფლორიან რიშარი წყალს ითხოვს. მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში ბალატონის ტბაზეც მიმდინარეობს.

1936: The First Class

AFP კუპერსტაუნიდან



ისტორიის წინაშე

კუპერსტაუნში, ნიუ იორკის ახლოს ბეისბოლის დიდების დარბაზია. იქ მალიმალ იმართება ხოლმე შტკრებები, რომელთა დროსაც ახალგაზრდობა ისტორიას ეზიარება. ხელის შეხებაც დიდი ამბავია.

სარბიელი

საორტული გაჯეთი

გამოიცავა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოღის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯიჯინია

დირექტორი ზიორბი ოქროშიძე

მთავარი რედაქტორი თამაზ მირზიაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე

ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი

ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე

კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნიშაძე

უცხოური ფეხბურთის რედაქტორი პაპა ხატიანი

უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანიძე, გიორგი ვაშაძე

გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ზიორბი ბერიკაშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ანთონილო გუგუშვილი, თორმალა კლიძე, ირაკლი პეტრია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლოენჯაშვილი, ბადრი კვიციანი

სტილისტები: ნათელა გორგოზიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: დეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუქუნიშვილი, ფატი დგალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე მავსეისის გამზირი 42, 11 კორპუსი, IV სართული.

საზონტო მისამართი: თბილისი - 79, საზონტო შუთი 208.

ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge

ელექტრონული ვებსაიტი: http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო საზონტო: 38-11-14, 877 54 55 00